ოთხშაბათი 27 მაისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 88 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 88

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ელექტრო თეატრი „რ ა დ ი უ მ ი“

საზაფხულო შენობა.

ორშაბათიდან, 25 მაისიდან, არაჩვეულებრივი პროგრამა

კამორრა

დრამა 3 ნაწილათ.

მეორე სერია წარმოადგენს ერთ მთლიანს და ვისაც პირველი სერია არ უნახავს, მეორე სერია პირველ სერიისაგან დამოუკიდებლათ შეუძლია ნახოს.
1 ნაწ. ოქროს კობრო, 2 ნაწ. მოულოდნელი ქარიშხალი, 3 ნაწ. საოცრება ჰაერში.

პატე ჟურნალი

სეზონის სენსაცია! მეორე სერია.

სხვისი ცოლების მოყვარული

კომიკური სურათი.

დასაწყისი საღამოს შვიდ საათზე.

თუ ცუდი ტაროსი იქნა, სეანსები საზამთრო შენობაში იქნება გადატანილი.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის მძ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდგან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოზით. თ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის
კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე
გოკიელი
ამ ზაფხულს რჩება ქუთაისში და განაგრძნობს ავადმყოფების მიღებას ძველ ბინაზე დანიშნულ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, საკუთარი სახხლი 11—1

ექიმი ე. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

კბილის ექიმები
მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.
დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი.

# ო მ ი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 25 მაისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 22-ს, ოსმალონი ზღვის პირის გზით შეეცადენ იერიშის მოტანას, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. ჯაბლაბას უღელტეხილზე ბრძოლა მტრის უკან დახევით დასრულდა. სარაკამიშის გზით არაქსის ხეობაში მოწინავე რაზმების სროლაა. ვანის ტბის ნაპირზე ჩვენმა ჯარმა დაიკავა სოფ. ადილჯევასკალა. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

### ალმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 25 მარტი. მთავარ სარდლის შტაბისაგან. შავლის რაიონში 23-სა და 24-ს მაისს ბრძოლა უცვლელათ გრძელდება. ოსოვეცთან 23 ს საღამოს არტილერიის სროლა იყო. შკვასა და როზოგის შუა მტერი უშედეგოთ სცდილობდა იერიშის მოტანას. პრასნიშის რაიონში, 24-ს, არტილერიის ბრძოლა იყო. ვისლის მარცხენა ნაპირზე, სანზე და ლიუბაჩევკაზე ცვლილება არ მომხდარა. მოსცისკის გზით 23-ს და 24-ს, დილით მტერს მედგარი იერიში მოქონდა ვიშნის მარცხაენა ნაპირზე და ჩიშკი, პაკოსტ, ოსტროჟეცის ფრონტზე. რადენიცეს სამხრეთ-დასავლეთის 295 მეტ. სიმაღლეზე

უიდაჩევის გზით მტერს იერიში არ მოუტანია. ჟურავნოს რაიონში 24 მაისს მტერმა შესძლო რამდენიმე რაზმის გადაყვანა დნესტრზე. ლუკვას ხეობაში ჩვენ მოვიგერეთ მტრის იერიში, ტყვეთ წამოვიყვანეთ 400 კაცი. კოლომიას დასავლეთით მტერმა იერიშები შეაჩერა და აქედგან დიდის ზიანით გავდენეთ. ჩვენი დივიზიის ფრონტთან ავსტრიელებმა დასტოვეს 5000 მოკლული. ამ რაიონში ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 700 კაცზე მეტი, მათ შორის 20 აფიცერია.

### გერმანელთა გემები ბალტიის ზღვაში.

**პეტროგრადი.** 24 მაისი. ჩვენმა წყალქვეშა ნავებმა შენიშნეს მტრის მოქმედება, განსაკუთრებით რიგის ყურის შესავალში. მტრის მოწინავე ნაღმოსნები ყურეს შესავალთან მოვიდენ, მაგრამ ჩვენი გემების მიახლოვებისათანავე, უკან გაბრუნდენ. შემდეგ მტერმა ჰაეროპლანები გამოუშვა, რომელნიც ჩვენ გავფანტეთ 22-ს მტერი ისევ შეეცადა ნაპირების მოახლოვებას, მაგრამ ჩვენმა წყალქვეშა ნავებმა მტერი უკან დააბრუნა. ბალტიის ზღვაში მტრის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა. ტრანსპორტი „ენისეი“, გადარჩა 23 კაცი. დამტკიცდა, რომ ნაღმებმა და ჩვენმა წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს და დააზიანეს მტრის სამი გემი.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 24 მაისი. არარის ჩრდილოეთით მედგარი ბრძოლა ჩვენდა სასარგებლოთ გრძელდება. ჩვენ რამდენიმე მოხერხებული იერიშით ექსნულეტის გზატკეცილის ორივ მხარეზე დავიკავეთ სუშეში ამ გზატკეცილის ალმოსავლეთით მტრის ადგილი. ნევილსენვასტში ჩვენი წინსვლა გრძელდება, ამ სოფლის ჩრდილო ნაწილში ჩვენ დავიკავეთ რამდენიმე სახლი. ამასთანავე ჩვენ გარს შემოვერტყით მტრის პოზიციას ჩრდილო-დასავლეთით და აქ დავიკავეთ მტრის სანგარი. ლაბირინტის ცენტრსა და სამხრეთით ჩვენ დავიკავეთ მტრის სანგრები და წინ წავიწიეთ ასი მეტრით. მთელი კვირა შეუწყვეტლივ ბრძოლა გრძელდება. ჩვენ ახლა გვიკავია ამ რაიონის ორი მესამედი ენაის ჩრდილოეთით, ტრანსილვანის ალმოსავლეთით, მულენსუტუვანის მაღლობებზე ჩვენ იერიშით მივედით. აქ წარმატება გვქონდა. მარჯვე იერიშის შემდეგ, ჩვენ დავიკავეთ ფრონტის ერთ კილომეტრზე სანგართა ორი ხაზი. მტრის სამი იერიში მოვიგერეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 200 კაცი და ვიხელთეთ სამი ზარბაზანი 77 ყალიბისა. შამპანში ბოსეჟურის ახლოს ჩვენ წინ წავიწიეთ, მპასის მარჯვენა ნაპირზე, ვოგეზებში არტილერიის ბრძოლაა.

**პარიზი.** 24 მაისი. ჩრდილოეთით მტერი შეეცადა დაკარგული ადგილების დაბრუნებას. გერმანელებს სასტიკი იერიში მოჰქონდათ მთელ ადგილზე აბლენიდან ნევილამდე, განსაკუთრებით სუშეს შაქრის ქარხნის წინაამდეგ გერმანელებმა ხუთჯერ მოიტანეს კონტრ-იერიში ღოტრდამ-დელორეტის ნიშის ალმოსავლეთით. გერმანელთა იერიშები ყოველგან შევაჩერეთ. ჩვენ შევინარჩუნეთ ყველა ადგილები. ექსნულეტ-სუშე და აბლენ-სუშეს გზაზე ჩვენ რამდენიმე სანგარი დავიკავეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 30 კაცამდე.

**პარიზი.** 25 მაისი. არასის ჩრდილოეგანსაკუთრებით ლორეტის, აბლენის, კაბარეს რუჟეს რაიონში, სუშეს ახლოს, ლაბირინტში და უკიურში. ამავე რაიონში მტერმა ორჯერ მიიტანა იერიში: ერთი სუშეს ქარხნის წინაამდეგ და მეორე ლაბირინტის სამხრეთით. ორივე იერიში მოვიგერეთ. ჩვენის მხრით ჩვენ ერთის კილომეტრით წინ წავიწიეთ ნოტრდამ-დელორეტის ნიშიდან და ასი მეტრით ლაბირინცში. დილის ხუთ საათზე ტუტვანის ფერმასთან გებიუტერნის ახლოს იერიში მივიტანეთ და 1200 მეტრის მანძილი დავიკავეთ. ვიხელთეთ ტყვიის მტყორცნელები და ტყვეებიც წამოვიყვანეთ, მდ. ენის ჩრდილოეთით მულენსუტუვანის ახლოს მთელ ღამეს მტერს იერიში მოჰქონდა, ჩვენ შევინარჩუნეთ ყველა ადგილები ერთი კილომეტრის ფრონტზე. შევინარჩუნეთ აგრეთვე სანგართა ორი ხაზი. ვერდენზე იერიშის მოტანა მტერს აღარ უცდია.

### დარდანელი.

**ათინა.** 24. მიტილენიდან მოსული ცნობა გალიპოლის ნახევარ კუნძულის საერთო იერიშის შესახებ, მართლდება. მოკავშირეებმა პარასკევს ფლოტის დახმარებით საერთო ერიში მიიტანეს და ვნიკეი-გალიპოლის სექტორში კრისტიამდი მნიშვნელოვანი ადგილები დაიკავეს. ოსმალოებმა უკან დაიხიეს. ესკიოჯადერში ოსმალოებმა სანგრების სამი ხაზი დაკარგეს, საფრანგეთის აქაური მისსიის ცნობით მოკავშირეთა ცენტრმა და მარჯვენა ფრთამ საგრძნობლათ წინ წაიწია და ტყვეთ წამოიყვანეს 200 კაცი. სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, რომ მალე სმირნოს ალყაც დაიწყებაო.

**ათინა** 23. მიტილენიდან იუწყებიან, რომ გუშინ დილით მოკავშირეები საზოგადო იერიშის გზას დაადგენენ. მცირე აზიის ნაპირზე მოკავშირეებმა გადმოსხეს მფრინავი რაზმი ადგილების დასაზვერათ. ინგლისის ადმირალის ნებადაურთავათ გემებს აეკრძალა მუდროსის ყურეში შესვლა. სამოსიდან ბენზინით მომავალი ორი დიდი გემი—ალბათ მტრის წყალ-ქვეშა ნავებისთვის დამზადებული-მოკავშირეთა ფლოტმა დაიჭირა მუდროსში.

ჯერ შეუმოწმებელი ცნობით, ინგლისის წყალქვეშა ნავმა „ფელლიმ“ ჩასძირა ნაგარასთან ოსმალოთა ორი ტრანსპორტი.

**ლონდონი.** 25, ბეჭვდითი სიტყვის ბიუროს ცნობით გალიპოლის სამხრეთ რაიონში, პარასკევს, დაიწყო საერთო იერიშები. იერიშები განმეორდენ შაბათსაც. მოკავშირეებმა წინ წაიწიეს 500 მეტრით, დაიკავეს სანგრები სამი მილის სივრცეზე და ტყვეთ წამოიყვანეს 400 კაცი. მათ შორის 5 გერმანელია. 21-ს, ბრიტანიის ჯარმა დაიკავა ამარა. გუბერნატორი და 700 ჯარის კაცი დაგვნებდენ.

### საფრანგეთის ნაღმოსანის ჩაძირვა.

**პარიზი.** 25 მაისი. საზღვაო ნუწყების ცნობით, საფრანგეთის ნაღმოსანი კაზაბიანკა ნაღმს დაეჯახა ეგეის ზღვაში ინგლისის ნაღმოსანმა აიყვანა კომანდის ერთი ოფიცერი და 64 კაცი. ფიქრობენ, რომ დანარჩენებიც გადარჩენ და ნაპირს მიაღწიეს.

**პარიზი.** 25 მაისი. დარდანელში, 22 მაისს, მოკავშირეებმა იერიში მიიტანეს, რომ მტრის პოზიციები დაეკავებიათ, ინსანგრები და წინ წაიწიეს 400 მეტრით. საფრანგეთის პირველმა დივიზიამ დაიკავა მტრის სანგრების პირველი ხაზი. მოქმედების დროს მოკავშირეთა ფლოტი ქვეითა ჯარს ეხმარებოდა, ტყვეთ წამოვიყვანეთ რამდენიმე ასი ჯარისკაცი და 10 აფიცერი, ტყვეთა შორას 6 გერმანელი მეზღვაურია, 22-ს მოვიგერიეთ ოსმალოთა ორი იერიში.

### ჰაეროპლანები ინგლისში.

**ლონდონი.** 24 მაისი. მტრის ჰაეროპლანები გამოჩნდენ ინგლის ნაპირების სამხრეთ დასავლეთით და რამდენიმე ყუმბარა ჩამოყარეს, ზარალი უმნიშვნელოა.

### გემების ჩაძირვა.

**ლონდონი.** 24 მაისი. ორკნის კუნძულთან მტრის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მეთევზეთა ნავი და ლოუსტოფთან ჩასძირა მეთევზეთა ორი გემი.

**ლონდონი.** 25 მაისი. გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს ტრალერები „დროუმისი“ და „სტაროფვესტი“ და ბარკა „სანლაიტი“, კომანდა გადარჩა.

### ოსმალოთა იერიში სუეცის არხზე.

**ქაირო.** 24 მაისი. ოსმალოებმა სუეცის არხზე იერიშები განახლეს 21 მაისს, მაგრამ იერიშები მოიგერიეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### თათბირი სეპარატიული ზავის გამო.

„ბირჟევია ვედომოსტ.“ საკუთარი კორესპ. რომიდან დეპეშით იტყობინება, რომ კონსტანტინოპოლის სარწმუნო წყაროს ცნობით, უკანასკნელ დღეებში კონსტანტინოპოლში გახშირებიული თათბირია გამართული მთავრობის წარმომადგენელთა შორის სეპარატიული ზავის ჩამოგდებაზე. ზავის მომხრენი ფიქრობენ, რომ, თუ ზავი დროით იქნა შეკრული, მაშინ ოსმალეთს შეუძლია მცირე აზიის ნაწილი ქალ. სმირნით თავის სუვერენობის ქვეშ შეინარჩუნოსო.

ოსმალეთის მთავრობის ის წარმომადგენელნი, რომელნიც ახალგაზდა ოსმალოების პარტიას ეკუთნიან, პირიქით, შეუძლებლათ სცნობენ რაიმე შეთანხმებას მებრძოლ სახელმწიფოებთან და მოითხოვენ ომის განგრძობას უკანაკნელ საშუალებამდი. ოსმალეთის საზოგადოებრივი აზრი ძლიერ აღშფოთებულია გენერალლიმან-სანდერსის ბრძანებით, რომლის ძალითაც ის მცირე ნაწილი გერმანელ აფიცრებისა, რომელთა ცოლშვილიც ჯერ არ გასულან კოსტანტინოპოლიდან, უნდა დაუყონებლივ გავიდენ უფრო უშიშარ ადგილას.

### ბულგარეთის ოპოზიცია.

იტალიის გამოსვლით შექმნილი მდგომარეობა ძლიერ აშფოთებს ბულგარეთის საზოგადოებას. ოპოზიციონურ წრეებში ფიქრობენ, რომ უკვე მოაწია ბულგარეთის პოზიციის გამორკვევის ჟამმაო.

დღეს რადოსლავოვი ეთათბირა სამთა შეთანხმების წარმომადგენლებს. ამ თათბირს დიდი შედეგები მოყვება.

### გერმანიის პრესა.

გერმანიის პრესა იწონებს მთავრობის გადაჭრილ პასუხს ამერიკის ნოტაზე „ლუზიტანიის“ დაღუპვის გამო და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წყალქვეშა ნავების კაპიტანი მოქმედებდა სრული განზრახვით და თავის მოქმედებას აწარმოებდა საზღვაო

მათ. ბერლინის გაზეთები პასუხის მგებლათ ინგლისს სთვლიან და გამოსთქვამენ აზრს, რომ ამერიკასთან შეთანხმება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ამ საკითხში, თუ ინგლისს მოსთხოვს პრეზიდენტი ვილსონი გერმანიაში თავისუფლათ შეიტანონ საჭმელი სურსათი, ნავთი, ტყვია და ბამბაო.

**ბერძნების მდგომარეობა.**

დედეაგაჩიდან ცნობაა, რომ მცირე აზიაში ბერძნების მდგომარეობა აუწერელიაო. ბევრი ბერძენია მოკლული და მათი ქონება დატაცებულიო.

რუმინიის გაზეთების ცნობით, კონსტანტინოპოლში ტერორია გამეფებული. სომხეთში დარბევა-აწიოკებას განაგრძობენ. ოტომანის მთავრობა ცდილობს როგორმე შეიკავოს მუსულმანები, რომ მთავრობის საწინააღმდეგოთ არ იმოქმედონ.

ოსმალეთის სამხედრო მინისტრს უბრძანა გაიწვიოს ჯარში გერმანიისა და ავსტრიის ქვეშევრდომები, რომლებიც კი სამ თვემდი ცხოვრობდენ ოსმალეთში. ჯარში გაწვევისაგან გათავისუფლდება მხოლოდ ის, ვინც გადაიხდის მთავრობის სასარგებლოთ 1000 ფრანკს.

# შინაური მორიგება და გერმანიის სოც.-დემოკრატია.

III.

(იხილე „სამშობლო“ № 87).

როგორც წინა წერილებიდან დაინახავდით, გერმანიაში ამ ომის დროს თითქო დამყარდა ის „მშვიდობა და სათნოება“ კლასთა შორის, რასაც დამსახურებული „სოციოლოგები“ საზოგადოებრივ ჰარმონიას უწოდებენ.

დიახ, დამყარდა, მაგრამ მეტათ ხანმოკლე დროით: ომით, ე. ი. მრისხანე მტრების შიშით მონაბერი „მშვიდობა-მორიგება“ ისევე ომის საკითხმა ალგავა და აანიავა.

ხანგრძლივმა ომმა საბიუჯეტო საკითხი ისევ მაღლა წამოაყენა და სოციალდემოკრატებს საკითხი კვლავ პირდაპირ დაუყენა: ვის, რომელ მხარეს უნდა ემხრობოდენ ისინი ამ ომში და რა ტაქტიკას უნდა დაადგენ, ვიდრე ომია?

აი, ამ საკითხმა პარტია სამ ჯგუფათ გაჰყო. რეიხსტაგის ფრაქციის დიდი უმრავლესობა გერმანიის მთავრობას მიემხრო და სამხედრო ბიუჯეტის დამტკიცებას ხმა მისცა, პარტიის უმრავლესობის დადგენილებაც ასეთი იყო; მხოლოდ 30-მე ს. დ. დეპუტატმა ხმის მიცემისგან თავი შეიკავა, ხოლო კარლ ლიბკნეხტმა და მისმა ერთმა ამხანაგმა წინააღმდეგ მისცეს ხმა. აქედან სჩანს, რომ პირველათ კარლ ლიბკნეხტის ჯგუფმა აღიმაღლა ხმა ზემოთ დასახელებულ შინაურულ მორიგების წინააღმდეგ და პირველათ მან შესძახა სოციალ-დემოკრატიის მიერ მხარის დაჭერით გათამამებულ მთავრობას:

ტყუილა ფიქრობთ, რომ თითქო სოციალ-დემოკრატია თქვენ თანაგიგრძნობდეს! იგი სასტიკი წინააღმდეგია ყოველნაირი „იმპერიალისტური“ პოლიტიკის, უარყოფს „მილიტარიზმს“ და „მარიანიზმს“ და მოითხოვს შეწყვიტოთ სისხლის ღვრა, ომი და დაუყონებლივ ზავი ჩამოაგდოთ.

კარლ-ლიბკნეხტის ხმა ზარბაზნების ქექა-ქუხილში თითქმის შეუჩნეველი დარჩა, მაგრამ სამაგიეროთ პრუსიის ლანდტაგში სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთაგან აღძრულმა საკითხმა საარჩევნო რეფორმის მოხდენის შესახებ, რეიხსტაგში მათგანვე მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიურ ზომების გაკრიტიკებამ და მუშათა სპეციალური მოთხოვნილების ისევ წამოყენებამ მწარმოებელ-ხაზეინები და პანგერმანიული პრესა კვლავ ააყაყანა და ძველებურათ აამხედრა; კვლავ კამპანია გაჩაღდა და აშკარათ „ძვირფასი და სანატრელი ერთობა-მორიგება“ საბოლოვოთ დაირღვა.

კატედერ-სოციალისტ პროფესორის შმოლერის კეთილ-გონიერება და სიდარბაისლე შეებრძოლა ამ მოვლენას: მან ზემოხსენებულ პანგერმანისტების წინააღმდეგ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა, რომლითაც ის მათ ურჩევდა, რომ უკუაგდონ „შარფმახერული“ და „წასისიანების“ ფანდები; მისი აზრით საჭირო არაა ვისმეს მოვთხოვოთ, რომ მან უარყოს თავისი იდეალები; საჭიროა გონივრულათ მოვიქცეთ: დავკმაყოფილდეთ მხოლოთ საერთო შეთანხმებული მოსაზრებით და აქედან მიღებული პრაქტიკული შედეგებით და იმავე დროს ძველი იდეალეში ხელშეუხებელი დავტოვოთ...

პროფესორის ასეთმა რჩევამ სულ ერთიანად აშალა ქარხანა—ფაბრიკების ცნობილი „მეფის“ შტუმმის გაზეთები, რომელთა რედაქტორებსა განსვენებული შტუმმი „ვირებს“ ეძახდა, როცა ისინი მისდა სასურველათ და სასიამოთ ვერ წერდენ ან გაზეთს ვერ აწარმოებდენ.

აი შტუმმის ამ დამქაშებმა გაილაშქრეს ახლა ზემოხსენებულ პროფესორ შმოლერის წინააღმდეგ და მოაგონეს მას, რომ „საშინელი წამქეზებელი იყო ავგუსტ ბებელი, რომ მის მიმდევართა „ძველი იდეალების“ რიცხვს „რესპუბლიკის დაარსებაც“ ეკუთვნის; რომ ისინი საშინელი მტრული თვალით უყურებენ კაპიტალისტებს და ამათ სავსებით გადაყენებას უქადიან. „მართალია, ახლა ისინი მთავრობასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიან, სწერენ“, მაგრამ ისინი თუ ომის შემდეგ კვლავ კლასიურ ბრძოლას დაუბრუნდებიან და ლიბკნეხტების და ლედებურების ტაქტიკას დაადგებიან მაშინ მათ „ბისმარკის რჩევისამებრ“ უნდა მოვეპყრათო“.

პანგერმანისტული პრესის გარდა თვითონ მსხვილი მრეწველნიც ხმას იმაღლებენ და ამ ომის დროს თავის ინტერესებს ოდნავაც არ ივიწყებენ, პირიქით უნდათ ისარგებლონ ახლანდელი განწყობილებით და თავისი მუდმივი საუკუნო მტრები—მუშები განსაზღვრულ შევიწროვებულ პირობებში ჩაიჭირონ, რომ მათ შემდეგში გასაქანი აღარ ჰქონდესთ.

მაგალითად, მთამადნის მრეწველნი ამას წინათ მომხდარ კრებაზე მთავრობისი საშინაო პოლიტიკას შეეხენ და ბევრი რამ დაუწუნეს მას, განსაკუთრებით „შინაური მორიგების“ შესახებ. მთამადნის მრეწველობის გენერალ-დირექტორმა, ემილ კირდორფმა მთელი პროგრამა განმარტა თავის ნაწერებში, თუ როგორი გეგმა უნდა შეასრულოს მთავრობამ ომის დროს საგარეო პოლიტიკაში; რაც შეეხება საშინაოს, მისი აზრით, „შინაური მომრიგებელი“ პოლიტიკა არაა სასურველი. კირდორფის აზრით მთავრობამ დიდი შეცდომა ჩაიდინა, როცა მან მუშების პატრიოტული გატაცება სახელმწიფოს ისტერესების სასარგებლოთ ვერ გამოიყენა; სახელდობრ: ის არ შეეცადა, რომ მუშათა „ორგანიზაციები“ სულ ერთიანათ დაეშალა და მუშები იქიდან გამოეყვანა“...

ასე მარჯვეთ ებრძვიან მრეწველნი მუშებს ამ ომის დროს, მაგრამ მათ მეცადინეობას სულ წინააღმდეგი ნაყოფი მოაქვს.

მადნის მრეწველთა ზემოთ დასახელებულ „შაფმახერობისა“ წინააღმდეგ ყველა მიმართულების და ეროვნების მუშებმა საერთო პროტესტი შეიმუშავეს და ამ დღეებში გამოაქვეყნეს კიდეც.

**დ—ელი.**

# ინტელიგენცია და კომერცია.

იმ ფაქტში, რომ ჩვენ აშკარათ უჭერთ მხარს ბ. დათეშიძეს ჩვენი მოწინააღმდეგენი მხოლოთ მას ხედვენ, რაც მათ საპოლემიკო მასალათ გამოადგება, მაგრამ ვერ ხედვენ მთავარს და ძირითად ხასიათს ჩვენის პოზიციისას.

რა არის მართლა საინტერესო ამ არჩევანში? ან უკეთ რომ ვსთქვათ, რათ არის ცუდი და ჩვენის აზრით შეუწყნარებელი, რომ ამ არჩევანში ინტელიგენციამ გაიმარჯვოს? უპირველესათ ყოვლისა, ჩვენ აშკარათ უნდა ვსთქვათ, რომ აქ ინტელიგენცია კი არ იბრძვის, არამედ ერთი ჯგუფი. და ეს ჯგუფი კი ისეთია, რომ თუ თავის რწმენასა და პროგრამას გაუწევს ცოტაოდენ ანგარიშს თითონვე უნდა სთქვას უარი არჩევანში მონაწილეობაზე. მაშასადამე, თქმა იმისა, რომ ჩვენ ინტელიგენციის წინააღმდეგი ვართ, უაზრობაა და ეს მით უმეტეს, რომ თვით ბ. დათეშიძეც ინტელიგენტათ მიგვაჩნია.

ისეთ დაწესებულებაში, როგორც არის ბანკი, უსათუოთ საჭიროა ინტელექტიცოდნა, ამით მართლაც რომ შეიარაღებულია ინტელიგენცია, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ამ ბანკს დირექტივებს ინტელიგენცია უნდა აძლევდეს. აი, ამას ვამჩნევთ ჩვენ ბ. დათეშიძის მოწინააღმდეგეებს და ამიტომ არ გვინდა მათი გამარჯვება. ფულიანი ადამიანი შეიძლება არა ინტელიგენტი იყოს, ინტელიგენტი უფულო და მეორეს შეუძლიან პირველის საქმე აწარმოვოს. მაგრამ ამ ინტელიგენტმა უსათუოთ თავის პატრონის ინტერესი უნდა დაიცვას. მან უნდა შეითვისოს მისი ფსიხიკა, გაიჟღინთოს მისი ინტერესებით. ჩვენ კი რას ვხედავთ?

ინტელიგენცია იკრიბება, უცხადებს ბრძოლას ვაჭრებს, ფინანსიურ დაწესებულების სათავეში სურს მოექცეს და თავის შეხედულების დაგვარათ უნდა აწარმოვოს ის კაპიტალი, რომელიც სხვას ეკუთვნის. შესაძლებელია ეს? ცხადია არა! ჩვენ მხოლოდ ამას ვამბობთ და ისინი კი გვეუბნებიან: მაშ, სჩანს, თქვენ წინააღმდეგი ხართ ცოდნისა, სჩანს, თქვენ ჩარჩი ვაჭარი გირჩევნიათ ინტელიგენტსაო! ცხადია, ასეთ ხალხთან [illegible]

თანამედროვე კომერციას თავისი დებულებანი აქვს [illegible] ვერ განაცვიფრებს. შეიძლება სამაგალითოდ იცოდეთ არისტოტელის ლოღიკა და არ იცოდეთ პითაგორის ტაბლიცა. თანამედროვე არაინტეგრალური განათლება ადამიანისა ამის სრულ უფლებას გაძლევთ. ამიტომ კომერციაში მარტოოდენ ინტელიგენტობით თავის ქება, ბევრი ვერაფერი თამასუქია. ასეა საზოგადოთ კომერციაში და უფრო გაზვიადებული უნდა იყოს ასეთი შეხედულება ქართულ კომერციაში.

რა სჭირია არსებითად ქართულ კომერციას, რას უნდა მიაქციონ ყურადღება ქართველმა ვაჭრებმა? მომუშავე კაპიტალის გამრავლებას სესხის წყალობით. მაგრამ ამის თქმა არაფერს არ ნიშნავს. საჭიროა უნარი, ალღო, ბრძოლა ფულებით ფულების წინააღმდეგ და ის ათასი ხერხი და ქამანდი, რომლის ხსენებაც შეიძლება ცინიზმათ ჩაგვითვალონ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, მაგრამ, რომელიც მიღებულია კომერციულ ცხოვრებაში და რომელიც ჩვენთვის—არა კომერსანტებისთვის, მუდამ დაფარული რჩება. შეიძლება განა ასეთი საქმე ინტელიგენტურ იდეალისტურ შემეცნებას დაუქვემდებაროთ, ან, რაც უფრო უარესია, სოციალიზმის ფერადებით შემოვზღუდოთ?!

აი, სად არის განსხვავება ჩვენსა და ჩვენს მოწინააღმდეგეთა შორის, ეს არის არსებითი განსხვავება და დროა რომ ასეთი შეხედულება შევითვისოთ. ინტელიგენტურ მორალს კომერციულიც უნდა მიუმატოთ—რადგანაც ფაქტი ქართულ კომერციის, ქართველ კომერსანტების არსებობისა უკვე თვალსაჩინო გახდა. და უნდა ჩაიდინონ უწინარეს ყოვლისა თვით ქართველმა კომერსანტებმა.

მომავალი არჩევანი ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკში იმით არის საინტერესო, რომ ეს დღე მათთვის გამოცდის, ეგზამენის დღე იქნება, მათ უნდა დაამტკიცონ, რომ საქართველოს ეკონომიურ ნელ პროცესში უკვე შემუშავდა კომერციული სული. ასეთ ატესტატის მიღება კი მეტათ საჭიროა, რადგანაც ყველას მოსწყინდა უკვე ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ცხოვრების ინტერესები მხოლოდ **სიტყვით არსებობს და** არ საქმით.

# მოქალაქეთა წრე და მისი მნიშვნელობა.

(წერილი მეოთხე*).

როგორც ზემოთ განვიხილეთ, მე-XVIII ს. გასულს მოქალაქეთა წრემ მძლავრათ შეარღვია წარჩინებულ წოდებათა სოციალური კედელი. ამა თუ იმ სახელმწიფოს ყოფა-ცხოვრება განისაზღვრებოდა მისი ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების საფეხურით და სულიერი ვითარება ვაჭარ-მრეწველთა წრის სიძლიერით. ამ უკანასკნელმა დაუმკვიდრა საფრანგეთს ის დიადი ისტორიული მნიშვნელობა მე-XVII და XVIII სს. საერთაშორისო ურთიერთობაში, რომელიც გამოიხატებოდა ფრანგულ ენისა, ფრანგულ ცოდნისა, ფრანგულ ცივილიზაციის განვითარებაში მთელს ევროპას და წინა-აზიის სივრცეზე. ის მომჯადოებელი ძალა ფრანგულ განათლებისა, რომელმაც გამარჯვებულის სიამპარტავნით მოვლო ყველა ევროპიელ და არა ევროპიელ ერთა სულიერი სალაროები, ეს ძალა სხვა ერთა კულტურულათ დამონავებისა შთაუნერგა ფრანგ ერს ახალმა ეკონომიურმა ვითარებამ—ვაჭრობამ და მრეწველობამ. ეს ძალა ევროპის ცივილიზატორისა გამოიხატა და რეალურათ აამეტყველა მოქალაქეთა წრემ—საფრანგეთის ვაჭრებმა და მრეწველებმა. თვით საფრანგეთის ის კუთხე, სადაც პირველათ, და უფრო მძლავრათ, განვითარდა ამ უკანასკნელთა წრე, საფრანგეთის სამხრეთი, ხმელთაშუა ზღვის ნაპირი— პროვანსი, შეიქმნა აკვნათ ახალი ცივილიზაციისა. პროვანსის ვაჭრები აძლევდენ დანარჩენ საფრანგეთს ყოველგვარ კულტურულ მაგალითს. პროვანსის ვაჭრებმა გაუწიეს მძლავრი დახმარება თვით ფრანგულ ენის მწყობრათ შედუღებასა და საბოლოოთ ჩამოყალიბებას. დაუდგრომელი, მოძრავი ვაჭრები პროვანსისა დაურიდებლათ შეეჭრენ დანარჩენ საფრანგეთის მცხოვრებთა მასას, კალიასავით მოედვენ მთელს საფრანგეთსა და ესზობელ ქვეყნებს და გაიბატონეს ამით თავისი აზროვნება, ენა და ზნე-ჩვეულებანი. ვაჭრულმა ურთიერთობამ პროვანსისა და ჩრდილოეთ საფრანგეთის შორის გაიბატონა მთელს საფრანგეთში იმ კუთხის მოქალაქობრივობა და წესწყობილება, სადაც უფრო მძლავრი, უფრო აქტიური იყო ვაჭარ-მრეწველთა წრე. ბრწყინვალე ხანა ლუი XIV-ისა ცხადი მეტყველია ფრანგ ვაჭარ-მრეწველთა წრის ნორჩ, ახალ ძალთა გაფურჩქვნისა. როდესაც ეკონომიურათ გაძლიერებული მოქალაქეთა წრე საბოლოოთ უახლოვდება და უფლებრივათ უთანაბრდება სახელმწიფო წარჩინებულ წოდებას. სახელმწიფო გადასახადების აკრეფვას მთავრობა ანდობდა კერძო პირთ იმ მოსაზრებით, რომ უკანასკნელნი კუთვნილ თანხას ერთიანათ შეიტანდენ ხაზინაში და ამით მომავალ სახელმწიფო ხარჯის დაფარვას ხელს შეუწყობდენ; გადახდილ თანხას პროცენტებით ეს კერძო პირები დაიბრუნებდენ წლის თუ წლების განმავლობაში თვით მცხოვრებთაგან სახელმწიფო გადასახადების აკრებით. ასეთი იჯარის აღება შესაძლო იყო მხოლოდ მსხვილ ვაჭრებისათვის აგეთ საქმეებში დახელოვნებული ვაჭრები ადვილათ იკიდებდენ ფეხს სამეფო სამსახურში, საინტენდანტო მართველობაში, რასაც ხელს უწყობდა სახელმწიფო მოხელეთა ადგილების გაყიდვა მთავრობის მიერ. ყოველი სოვდაგარი, მრეწველი თუ ვაჭარი ცდილობდა აგეთი ადგილების ყიდვასა და შენარჩუნებას, რაც მათთვის ძლიერ ადვილი იყო შეძენილ სიმდიდრის გამო. სახელმწიფო მოხელეობა და მსაჯულობა კი აძლევდა ვაჭრებსა და მრეწველთ იმ უფლებრივ უპირატესობას, რომ ისინი დღიდან სათანადო სამსახურში შესვლისა ითვლებოდენ სამეფო აზნაურებათ (noblesse de robe). მაშასადამე, ვაჭრობა და მრეწველობა იყო იმის მიზეზი, რომ ერთ სახელმწიფოში გაერთიანებული ერის ქონებრივათ დაწინაურებული ნაწილი, ე. ი. მოქალაქეთა წრის მოწინავე ელემენტი ერეოდა საქვეყნო მართველობის საფეხურში მყოფს წარჩინებულ წოდებას. მთელ ხალხს ეძლეოდა ფართო ასპარეზი **ვაჭრობის ნიადაგზე მაჯანებულ შრომით** მიეღწია სოციალურ წარმატების უმაღლეს საფეხურამდე. ამას კი ის მნიშვნელობა ქონდა საზოგადოებრივი აზროვნებისა და სოციალურ მსოფლ-მხედველობის განვითარებისათვის, რომ ერთის მხრივ წარჩინებული წოდება ძალით თუ ნებით ცჩვეოდა მოქალაქეთა მონაწილეობას ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმიანობაში, მას ეძლეოდა შემთხვევა მჭიდროთ დაახლოვებოდა მოქალაქეთა წრეს, გაცნობოდა მის ნიჭსა და შრომის უნარს; მეორეს მხრივ თვით მოქალაქეთა წრეც ეძლეოდა გონივრულსა და თავისი ნიჭის განვითარების ახალ მიმართულებას სახელმწიფო საქმეებში ჩარევით. მას ებადებოდა **მძლავრი გრძნობა უპირატესობისა**, როდესაც ცხადათ ამჩნევდა თავის ეკონომიურს სიძლიერეს და მეტ საქმიანობის უნარს, თავის შრომის მეტ სარგებლიანობას, წარჩინებულ წოდებასთან შედარებით. ვაჭარი და მრეწველი შეიქნა პატივდებულ ცნებათ. ამ მხრივაც, მაშასადამე, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებამ, მოქალაქეთა წრის გაძლიერებამ წარმოშვა ახალი სოციალური მსოფლმხედველობა: **სოციალურ წრეთა უფლებრივი გათანაბრების საჭიროება.** აგეთი მიმართულებისა მაშინდელ თაობის მთელი გონივრული მუშაობა. ნიუტონიდან მოკიდებული ყველა გამოჩენილი მოაზროვნე, ჰობსი, რ. ფილმერი, სიდნი, ლოკკი, გერბერტი და სხვა მრავალნი ენერგიულათ მუშაობენ ახალ მიმართულების ახალ-ახალი საბუთებით გაღრმავებისათვის. ნიუტონი საბოლოოთ ამტკიცებს, რომ მთელი სამყაროს დიდი თუ პატარა მოვლენანი ექვემდებარებიან ერთსა და იმავე უბრალო კანონიერებას; ჰობსი აფუძნებს ადამიანის საზოგადოებათა ხელშეკრულობის ნიადაგზე წარმოშობის მოძღვრებას და ამით აშკვიდრებს თანამედროვეთა აზროვნებაში იმ აზრს, რომ მთავრობა და ხალხი მხოლოდ დროებითი შეთანხმების ძალით არიან ერთი-ერთმანეთზე დამოკიდებულნი; ლოკკი უფრო აღრმავებს და უფრო ფართო ნიადაგზე აყენებს ამ მოძღვრებას თავის ფსიხოლოგიურსა და რელიგიოზურ გამოკვლევებში. ინგლისელ მეცნიერთა პოპულიარიზატორები, ვოლტერი, დიდრო, მონტესკიო და სხვები ყველასათვის ცნობილია: მთელი რიგი ფილოსოფოსთა და მოაზრეთა თავის ნაშრომში ამეტყველებენ და გამოხატვენ იმ ძირითად მცნებებს ახალს სოციალურ მსოფმხედველობისას, რომელიც იყო უბრალო შედეგი მე-XVIII საუკუნის ერთა ეკონომიურ განვითარებისა, ვაჭრობისა და მრეწველობის აყვავებისა და მოქალაქობრივობის განვითარებისა. უფრო თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო მოქალაქობრივობისა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ ინგლისში. წინა წერილებში ჩვენ დავინახეთ თუ რა მძლავრი ეკონომიური ცვლილებები მოხდა ინგლისში, მიწის მესაკუთრეთ მრავალ შედეგით აღსავსე ჯიბრობას უწევდა ახალი ვაჭარ-მრეწველთა წრე. ეკონომიურათ გამაგრებული ვაჭრობა იძენდა მიწებს და ამით ღებულობდა პოლიტიკურ უფლებებსაც. ამ წრის მიჯინებულმა მუშაობამ წარმოშვა ორი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ინგლისის სოციალურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში: საარჩევნო რეფორმები 1832 წ. და პურის კანონების ე. წ. Corn laws მოსპობა 1846 წ. პირველი გამოწვეული იყო მით, რომ ინგლისის პარლამენტის ზედა პალატის წევრები-ლორდები ინიშნებოდენ თვით მეფისგან და თავის სიცოცხლეში რჩებოდენ ზედა პალატის წევრებათ, მაშინ როდესაც ქვედა პალატის წევრების ამომრჩეველი ხმები განაწილებული იყო ინგლისის სხვადასხვა საგრაფოზე და ადგილებზე, რომელთა მნიშვნელობაც უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში დღითი-დღე ქვეითდებოდა, რადგან ვაჭრობისა და მრეწველობის ცენტრები უფრო იზიდავდენ მცხოვრებლებს და მშრომელ ხალხს ეგ საარჩევნო რაიონები კი უმეტეს შემთხვევაში ან დაცარიელებული იყო მცხოვრებთაგან ან სულაც ჭაობებათ იყო გადაქცეული. აგეთი განაწილება საარჩევნო ხმებისა სამფლობელოს მიხედვით, ცხადია სასარგებლო იყო მხოლოთ მიწის მესაკუთრეთათვის სოფლის დიდ გვარიშვილთათვის. ასიდა ორასი ათასი მცხოვრებით გაჭედილი ქალაქები კი მოკლებული იყვნენ საარჩევნო უფლებები, რაც მოქალაქეთათვის ვაჭრებთა და მრეწველთათვის ფრიად საზიანო იყო: სულ ირჩეოდა ქვედა პალატაში 658 დეპუტატი (7 წლით); აქედან 70 დეპუტატი შედიოდა ისეთ ადგილებზე, რომლებიც დასახლებულიც კი აღარ იყო 52 დეპუტატი 26 საარჩევნო რაიონზე, რომელთა თითოეულის ამომრჩეველთა რიცხვიც 200 არ აღემატებოდა 90 დეპუტატს გზავნიდა 46 დაბა-სოფელი, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი 5[illegible] თუ უდრიდა, და 37 დეპუტატს გზავნიდა 17 სოფელი, სადაც ასი ამომრჩეველი მოდიოდა თითო სოფელს. ვაჭრები მრეწველნი, მოქალაქენი, რომელნიც აწარმოებდენ ქვეყნის ეკონომიკას მოკლებული იყვნენ იმ უფლებებს, რომლით სარგებლობდა უსარგებლო და უმუშევარი და დაჭაობიანებული კუთხეების მესაკუთრე გვარიშვილები. რასაკვირველია ვაჭარ-მრეწველთა წრემ ერთსულოვნად მიიტანა მძლავრი იერიში ასეთს დაძველებულ წესწყობილებაზე. მას შეუერთდა ირლანდიაც, რომელიც, როგორც კათოლიკეთა ქვეყანა, მოკლებული იყო იმავე პოლიტიკურ უფლებებს. ბრძოლაში საარჩევნო რეფორმებისა გამოკრთის, თუ რა ძალა ქონდა მომწიფებულ მოქალაქეთა წრეს: მთელი ათი წლები მოანდომა ამ ბრძოლას ინგლისის ვაჭარ-მრეწველთა წრემ და შეგნებულათ იბრძოდა სოფლის არისტოკრატიისა და კონსერვატორების წინააღმდეგ, ვიდრე მოწინააღმდეგეთ პოზიცია პოზიციაზე არ დაათმობიეს და 1832 ივნისში ლორდ გრეიმ არ აიძულა ზედა პალატა უსათუოთ მიეღო საარჩევნო რ[illegible]

*) იხ. „სამშობლო“ № 78.

წერილის გათავება ამითაც შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენი ყურადღება მიიქცია „ახალ კვალში“ მოთავსებულმა წერილმა ამავე საკითხის შესახებ.

სრულებითაც არ ვსთვლით ჩვენს მოვალეობათ დავიცვათ ბ. დათეშიძე ყველა მის მოპირდაპირესგან. მაგრამ ის საბუთი, რომლითაც გამოდის „ახალი კვალი“ მის წინააღმდეგ, მართლაც რომ სასაცილოა. თუ ოდესმე ბ. დათეშიძე, მართლაც, წინააღმდეგი იყო დასელების კანდიდატისა სახელმწიფო სათათბიროში—ეს სრულებით არ აშუქებს მის საბანკო მოღვაწეობას.

იქნებ მაშინდელი ფინანსთა მინისტრიც წინააღმდეგი იყო დასელებისა—მაგრამ განა ეს საბუთია ფინანსიურ პოლიტიკის კრიტიკისათვის? ჩვენის აზრით, ვისაც სურს დაამტკიცოს, რომ ბ. დათეშიძე უვარგისი საბანკო მოღვაწეა, მან მის მოღვაწეობას უნდა გაუწიოს კრიტიკა. ასეთი კრიტიკა კი ჯერ არსად ამოგვიკითხავს.

# ახალი ამბავი.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა კამერ-იუნკერმა ა. პოტულოვმა განკარგულება გამოსცა, რომ ყველა კერძო თუ საზოდო დაწესებულებაში, სავაჭროებსა და ქუჩებში სასტიკათ ალკრძალულია გერმანულ ენაზე საუბარი. განკარგულების დამრღვევი დაჯარიმებული იქნება 3000 მანეთით, ან სამი თვით ციხეში დაპატიმრებით.

ვაჭრების შესახებ ბატ. გუბერნატორმა განკარგულება გამოსცა, რომლის ძალითაც ამა თუ იმ ვაჭრის სახელზე რუსეთიდან მოსული საქონელი 24 საათის განმავლობაში უნდა დაიხსნას ვაჭარმა. ის პირები, რომელნიც რაიმე სანოვაგეს გადამალავენ ფასის მომატების მიზნით, სასტიკათ დაისჯებიან.

✦ ქუთაისის გუბერნიის დამშეულთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტი ჩრდილოეთ კავკასიდან ამ დღეებში მოელის 35 ვაგონ სიმინდს. ეს სიმინდი დაურიგდება გურიისა და სამეგრელოს დამშეულებს. ვაგონების მოსაწესრიგებლათ კომიტეტს გაგზავნილი ჰყავს საკუთარი კაცი.

შარშან მთავრობამ, 1913 წლის მოუსავლობის გამო, შორაპნის მაზრის გლეხებს დაურიგა სიმინდი. ამ მაზრაში სიმინდისათვის მთავრობამ დახარჯვია სულ 300,000 მანეთი. როგორც გავიგეთ, წელს მთავრობამ ეს ფული მცხოვრებლებისაგან უკან მოუთხოვია. თუ ეს გამართლდა, საწყალი ხალხი დიდ გასაჭირში ჩავარდება, რადგანაც არავითარი სახ' არი ამ ფულის გადახდისა არა აქვს.

✦ გუშინ, 27 მაისს, დასრულდა სამტრედიის ახალგაზდათა გაწვევა სამხედრო ბეგარის მოსახდელათა, დღეს, 18 მაისს, დაიწყება დ. ხონის რაიონის ახალ-გაზდათა გაწვევა.

✦ ბალახვანის ქუჩის მცხოვრებლებმა ქალაქის გამგეობაში შუამდგომლობა აღძრეს, რომ ქალაქმა ყურადღება მიაქციოს რკინის გზის სადგურიდან მომდინარე ნიაღვარ, რომელიც მდინარე რიონს ერთვის. ამ ნიაღვარს ბევრი სიბინძურე მოაქვს თან და წყალს მეტად აბინძურებს.

✦ როგორც შორაპნის მაზრიდან გვწერენ, მუდმივ წვიმებს დათესილი ყანები გაუფუჭებია. ბევრი მინდორი დაუთესელი დარჩა, წვიმებმა ვაზებიც დიდათ დააზარალა. 25 მაისს ხარაგოულის მიდამოებში კოკის პირული წვიმა მოსულა, რასაც ყველაფერი გაუნადგურებია.

✦ ამ ჟამათ ოკრიბის მხრიდან ქუთაისში ჩამოაქვთ დიდძალი ხილი; განსაკუთრებით ბალი, ხენდრო და მარწყვი. წვიმების გამო ხილი ძლიერ ცუდი ხარისხისაა. ქუთაისის მეხილეები ხილს დიდხანს იჭერენ, რის გამოც ლპება და ისე ყიდიან. მეხილეებს ხილისთვის ტილოც კი ვერ გადაუფარებიათ, რომ ბუზებისაგან დაიცვან. საჭიროა სანიტარებმა დიდი ყურადღება მიაქციონ დამპალ ხილის გაყიდვის საქმეს.

✦ სოფ. დიდი ჯიხაიშის რამდენიმე ინტელიგენტს განზრახვა აქვთ დააარსონ ამ სოფელში კოოპერატიული სავაჭრო. ამის შესახებ სადაც ჯერ არს შუამდგომლობა კიდეც აღუძრავთ.

✦ ორშაბათს, 25 მაისს, დ. ფერიდაში შესდგა ადგილობრივი ვაჭრების კრება, რომელმაც განიხილა გურიისა და სამეგრელოს დამშეულთა დახმარების საკითხი. კრებამ აირჩია განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც მიანდვეს ვაჭრებსა და კერძო პირებში ფულის შეკრება. კომიტეტი ფულის შეკრებას უკვე შეუდგა. კარგი იქნება რომ ამ მაგალითს სხვა დაბის ვაჭრებიც წაბაძავდნენ.

✦ წლეს მოსკოვის პოლიტეკნიკის რეალური სასწავლებელი ყველაზე უკეთესად დაასრულა ერთმა ქართველმა გრიგოლ მიხ. ჟღენტმა. (ოქროს მედლით.)

— —

## თფილისი.

საქველმოქმედო ქართულმა საზოგადოებამ სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, ისე, როგორც სომხეთა, მუსულმანთა და სხვა ეროვნების საზოგადოებებს მიეცა ნებართვა შემოწირულების შეკრებისა, იმავე პირობებში მიეცეს მასაც ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთათვის შეაგროვოს შემოწირულება და მთელი შემოსავალი თვით საზოგადოებამ მოახმაროს გაჭირვებულთ.

— მატარებლების დაჯახება. ყარსის გზაზე 21 მაისს მატარებლები დაეჯახა ერთი მეორეს, დაშავდა ექვსი კაცი, მათ შორის კონდუქტორი ადამია და დაიმტვრა ორთქმავალი და ათი ვაგონი.

— ქალთა უმაღლესი კურსების დირექტორი საჭიროთ ცნობს დაუყონებლივ დაარსდეს კურსებთან ქალთა მედიკური (საექიმო) კურსები და ამის შესახებ ქალაქის თვითმართველობასთან მიწერ-მოწერა აქვს გამართული, მისი აზრით საექიმო კურსები იმავე ტიპის უნდა დარჩეს, როგორც მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსებთან არის.

—ვინოგრადოვის პოლიტეხნიკურ კურსებს ნება დართეს კერსებზე მსმენელებათ მიიღონ ქალებიც. მსმენელ ქალთა უმეტესობა სამეურნეო განყოფილებაზე ეწერებიან. „თ. ა.“

## იმერული სამხმოვანი გალობა.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გაზ. „სამშობლოს“ ფურცლებზე რამდენიმე პატივცემულ პირთა შორის დავა' ასტყდა ამ საგნის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, დავი-დარაბამ არაფერი შეგვძინა, რადგანაც საკითხს არსებითად არ შეხებიან.

არაფერი შეგვძინა კიდევ იმიტომ, რომ საქმე კინკლაობაზე გადავიდა. ბუნებითად ჩვენ გულფიცხელნი ვართ, ხშირად ვსწვდებით ხოლმე ერთმანეთს და, საქმის გაკეთების მაგიერ, ვლანძღავთ, ასე მოხდა მაშინაც.

საკითხი კი ფრიად სერიოზულია. იმისი გამორკვევა იმდენად სერიოზულია, რამდენადაც საყურადღებოა ჩვენი ძველი გალობის ყოფნა არ ყოფნის საკითხი ჩვენთვის.

შემცდარია ის ადამიანი, ვინც სამხმოვანი იმერული გალობის საკითხს გადაჭრილად, გამორკვეულად დაინახავს და ოთხხმოვანს გალობაზე დაიწყებს მსჯელობას. სამხმოვანი გალობის შესახებ საკითხს არც კი შეხებია ვინმე ჯეროვანად. მხოლოდ მ. რაჟდენ ხუნდაძე შეეხო მას რამოდენიმეჯერ, მაგრამ მისი ხმა ყოველთვის დარჩა „ხმა მღაღადებელსა უდაბნოსა შინა.“

სამხმოვანი ჩვენი გალობა საძაგელი კი არა, კეთილხმოვანია, ღრმა, მდორე, რელიგიური გრძნობების გამომწვევი და ჩამაფიქრებელი. (მე ვგულისხმობ კარგ მგალობლების მიერ ნაგალობების მოსმენას და არა იმას, სოფლებში რომ გვესმის ხოლმე: „აიქაიამინ“...)

სამხმოვანი გალობა არ მოეწონება მხოლოდ იმისთანა კაცს, რომელსაც სმენა არა აქვს კარგი, ან კიდევ ვისაც კარგი მგალობლების მიერ ნაგალობები არ გაუგონია. სამხმოვან გალობას იმიტომ კი არავის ვაწონებ, რომ ვამტკიცებდე, თითქო სამხმოვანი სჯობდეს ოთხმოვანს მეთქი. სრულიადაც არა. თუ კი ვინმე გააუმჯობესებს გალობის მარტივ კილოს, როუ-ლად და უფრო კეთილხმოვანად გადააქცევს მას, იმას რაღა აჯობებს. მაგრამ როცა ოთხხმოვან გალობას ვინატრებთ, მაშინ სამხმოვანი გალობა არხივში უნდა გვქონდეს თავის ადგილას შენახული, რომ მუზეუმა, საჭიროების დროს ისარგებლოს იმით. ან კიდევ შესწავლილი უნდა გვქონდეს ისე, რომ კვლევა-ძიება-ჩხრეკა არ უნდა გვჭირდებოდეს. არის კი ასე? რადგანაც არ არის, ამისთვის ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ იმერული სამხმოვანი გალობა დაკარგვას, გაქრობას გადავარჩინოთ.

ჩვენი გალობის მდგომარეობა შეგვიძლია დავასურათოთ ამნაირად: წარმოვიდგინოთ ერისათვის ძვირფასი ისტორიული განძი, რომელიც ჟამთა ვითარებისა გამო მიწაში ჩაფლულა და იკარგება, მხოლოდ ბოლო-ღა მოუჩანს. დროთა ვითარება მას ჩვენს თვალის წინ მიწას აყრის და ჰკარავს, ჩვენ კი, ვხედავთ რა იმას, არა თუ არ ვიღებთ მიწიდან, არამედ არც კი ვფიქრობთ თუ რა ვუყოთ, როგორ გადავარჩინოთ იგი გაქრობას.

რა მნიშვნელობაც აქვს სამხმოვან გალობას, ამას მოკლედ მოგახსენებთ: იგი კილოა, საფუძველია მთელი გალობის. უმისოდ არც ერთი საგალობლის გადაკეთება არ შეიძლება ოთხხმოვანად, უმისოდ საგალობლის გადაკეთება კი აღარ იქნება, არამედ ახალის გამოგონება, რომელიმე კომპოზიტორის ფანტაზიის ნაყოფი იქნება, და არა ეროვნული გალობა.

აი, გალობის ეს საფუძველი გვეცლება ხელიდან, დავიწყებას ეძლევა. გალობის მცოდნე მოხუცები, რომელთა რიცხვიც თითებზე ჩამოითვლება უკვდავნი არ არიან. ახალგაზდებმა კი არ ვიცით, უნდა აშკარად აღვიაროთ. ამისთანა პირობებში ძველი ქართული გალობა გაქრება, მაშ რა დაემართება?

როგორც მსმენია, წინად, როცა ჩვენი თავი ჩვენვე „გვეყუდნოდა“, მთელს წირვასა და ლოცვას გალობით ჩაატარებდენ ხოლმე. ახლა კი „მამაო ჩვენოს“ მხოლოდ იშვიათი თუ იგალობებს. მას უნდა გაუჩნდეს ვინმე მზრუნველი, თუ არ გვინდა ხელში გაგვიდნეს ეს ეროვნული განძი. და ეს მზრუნველობა უნდა იკისროს ქუთაისის საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობამ.

ისტორიული ყველა განძი ძვირფასია ჩვენთვის,—მაგრამ თუნდა უკვე შექნილი, მუზეუმში მდებარე ისტორიული ნივთები კიდევაც რომ ხელახლა დაგვეკარგოს, მაინც შესაძლებელია, მოსალოდნელია ხელმეორედ გიპოვოთ ისინი, გალობა კი, რაკი ერთხელ გაქრება, იმისი ისევ მოპოვება შეუძლებელია: სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ მას. აი, ამისთვისაა, რომ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისს დასაცავად.

სამხმოვანი გალობის მცოდნეს მე ვიცნობ მხოლოდ ორს კაცს: მ. რაჟდენ ხუნდაძეს და მ. ილიანე წერეთელს. მესამე არის კიდევ ბ-ნი დიტო ჭალაგანიძე, მაგრამ ამბობენ ღრმად მოხუცებულიაო. დანარჩენს მე არ ვიცნობ, თუ თვითონ ზემოდ დასახელებულნი პატივცემული მოძღვარნი არ იცნობენ.

საჭიროა ეთნოგრ. საზ. გამგეობამ მოიწვიოს სამხმოვანი გალობის მცოდნე პირები, რომ ჩასძახონ საუკეთესო საგალობლები მაინც ფონოგრაფში, რომელიც ხსენებულმა საზოგადოებამ აუცილებლად უნდა შეიძინოს. ყველა საგალობლები კი უნდა გადაღებულ იქნას ნოტებზე და დაბეჭდილი ხსენებული საზოგადოების მიერ. მაშინ დავიცავთ ჩვენ გალობას მოსპობისაგან.

რაც ვსთქვით გალობის შესახებ, იგივე ითქმის ხალხური სიმღერების შესახებაც. ისინიც გაქრობის გზა' ადგიან: მოხუცმა სოფლელებმა ჯერ კიდევ იციან, ახალგაზრდებმა კი არა.

გვაქვს კი რაიმე საშუალება, რომ მოვახერხოთ ყველა ეს? გულშემატკივარ ადამიანს ჯერ აქამდისაც შეეძლო გამოენახა საშუალება, თორემ ამ ჟამად საშუალება ხელთა გვაქვს. დიდებულმა ჩვენმა მგოსანმა იმითაც დაგვდო ღვაწლი, რომ მკვიდრი საფუძველი გაუჩინა ჩვენი ხალხის ზეპირსიტყვაობის მოკრეფას და დაცვას. და გალობაც ხომ იგივე ზეპირსიტყვაობაა და სხვა არაფერი. ის იგივე სიტყვებია, მხოლოდ უფრო გაჰიანურებულად წარმოთქმული, ისევ იციან იგი ჩვენი ერის ზოგიერთმა წევრმა, როგორც ლექსები ან ზღაპრები, და ისევე გაქრება და დაიკარგება, როგორც ეს უკანასკნელნი, თუ კი არ შევკრებთ მათ.

რამდენად ადრე გამოვიჩენთ მზრუნველობას, მით უკეთესია.

**კირილე ძოწუაშვილი.**

## სიმშილი.

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან).

სამეგრელოს ერთი დაბის ნაცნობ დუქანში ჩამოვხტი. ამ დუქანში, სხვათა შორის, იყიდება სიმინდი, როგორც მარცვლად, ისე ფქვილად. ხვალ საუფლო დღე სასწაულია, და მახლობელ სოფელში ამ დღესასწაულის წინა დღეს—სხვა დროს—დიდი ფაცა-ფუცი იქნებოდა... მედუქნე მეტად სწუხს, რომ არა აქვს სიმინდის ფქვილი, ან მარცვალი: „ვიცი, ამ ერთ საათში ერთიანად ამიკლებენ გამწარებული მუშტრები, და, რა ვუხერხო, არ ვიცი“. ჯავრობს მედუქნე... გადის ნახევარი საათი: მოდის ერთი სოფლელი ქშენით, (ეტყობა, ჩქარა უვლია, რომ სხვას არ მოესწრო). კონკებში გახვეული, ფეხშიშველა და თმა აწეწილი, პატარა ტომრით (ტოფსიკით) ხელში: „ფქვილი გაქვს?“ ეკითხება მოუთმენლად მედუქნეს. „ჯერ არ მომსვლია, და, შეიძლება, მომივიდეს ცოტა ოდენი“,—არის პასუხი. მუშტარს სახე უფითრდება, თვალის უბეები უნაღვლიანდება, და იქვე, განზე უძრავად დგება. მოდის მეორე: „ფქვილი გაქვს?“ ეკითხება მედუქნეს. „ჯერ არ მომსვლია“. ისმის მოკლე პასუხი. გულ-შემოყრილი, ისიც იქვე დარაჯად დგება. მოდის მესამე, მოდის მეოთხე, მერე მეხუთე, მეექვსე, მეათე, მეოცე, მეორმოცე... ერთი და იგივე კითხვები, ერთი და იგივე არასასურველი პასუხები, ერთი და იგივე ოხვრა და გმინვა... ვზივარ და ვუცქერ ნაღვლიანად ამ საშინელ სანახაობას.. ვის არ ნახავ აქ?! დიდს თუ პატარას, ახალგაზდას თუ მოხუცს, ქვრივ-ოხერს თუ ობოლს... ყველა ტოფსიკით ხელში, უფერული, სახე გამოცვლილი და სიმშილისაგან ილაჯ-გაწყვეტილი; ყველა კონკებსა და ძონძებშია გახვეული. ძნელი ყოფილა შიმშილი! თურმე ყველაფერს მოითმენ; შიმშილს კი ვერა!.. ხვალ საუფლო და ამ უბედურთა საეკლესიო დღესასწაულია... რომ არ შიოდესთ და სიმინდის ფქვილი ციურ მანანად არ ესახებოდესთ, ხვალისათვის სხვა რამეებს (ხორცს, ღვინოს, პურის ფქვილს) იყიდდენ, რომ ამათაც ჰქონოდათ მხიარულებისა და სიამოვნების უფლება, რომ ამათაც დილიდან საღამომდის მაინც წარმოედგინათ თავი თავისუფალ ადამიანებად. მაგრამ ეს ახლა ვის ახსოვს?! სიმშილია გამეფებული და გაუქრობელ გეენასებრ მოდებული. ყველას კუჭი ეთუთქება და სტომაგში ნაწლევები გველებად ქცევია ახლა ყველას ტვინი მხოლოდ იმას ოცნებობს, რომ საიდანმე ფქვილი გაჩნდეს, ჩქარა დაინაწილონ და საჩქაროდ მშიერ ოჯახებმსაკენ გასწიონ... ამ დროს მართლა გამოჩნდება ერთი ტალახიანი ურემი, რომელზედაც ფქვილით სავსე მხოლოდ 4 ტომარ სძევს. „ფქვილი მოვიდა, ფქვილი!“ დაიღრიალებს მშიერი ხალხი. [illegible]გი მათგანი ვერ მოითმენს: გაიქცევა და ტალახიან ურემს გვერდ[illegible] თითქო ამით უნდა ფ[illegible] რომ იმდენი ირგოს, [illegible] განზრახული აქვს. აი კიდეც გადმოაწყვეს სავსე ტომრები; ყველა ტომრებისაკენ მიიწევს ხელის პოტინით; ყველას უნდა წინ წადგომა და სხვაზედ უწინ ფქვილის მიღება. ზოგს მომზადეაული გროშები ხელიდან უცვივა, იწყევლება და იმუქრება, რომ აბოჭვას არ აცლიან და გროშებზე ფეხს უდგმენ... „ბატონებო! თქვენ თუ მიშველით, თორემ აქ ისეთი არეულობა ხდება ხოლმე ყოველთვის, როცა ფქვილს ვყიდი, რომ ძაღლი პატრონს ვერ იცნობს: ერთიმეორეს თავ-პირს უმტვრევენ, და მე ვერაფერს ვაწყობ, რის გამო იძულებული ვხდები პოლიციელს მივმართო სიმშილისაგან გამხეცებული ხალხის დასამშვიდობებლად,“ —მეხვეწება მედუქნე. რომ შეძლებისადაგვარათ სამართლიანათ განაწილდეს ფქვილი გააფთრებულ მყიდველთ შორის, ვერევი საქმეში და ძლივს-ძლობით ვდგები სასწორთან, ვეხვეწები ყველას და ვაშოშმინებ მათ... მედუქნემ ერთ ტომარს თავი უკვე მოხსნა და შეუდგა ფქვილის გაყიდვას. „იცოდეთ; ფუთი რვა აბაზი ღირს; მე თვითონ მანეთნახევარი მიზის“; (და არც სტყუის). აცხადებს მედუქნე. რაც გენებოს, ის მიიღე, თუნდ ორი მანეთი, ოღონდ ნუ გამიშვებ ხელ-ცარიელს და შიმშილით ნუ ამოგვწყვეტ!“ ემუდარებიან მყიდველნი... „ვის რამდენი გნებავს?“ ვეკითხები.—„მე ერთი ფუთი მინდა!—მეც ერთი ფუთი მინდა!—მეც ერთი ფუთი!—მეც ეთი ფუთი!—მეც!—მეც!“ და არავინ სჩანს, რომ ფუთზე ნაკლები უნდოდეს, რადგან ყველას შიან, ყველას მოთხოვნილება დიდი აქვს... „მე ექვსი სული მყავს სარჩენი!—მე შვიდი სული მყავს!—მე რვა!—მე ცხრა!—მე ათი!“... ყველას სინიდისს ქვეშ გამოვკითხავ: ყველა ასეთ პასუხს იძლევა, და შეძლებისადაგვარათ შესაფერისად ვანაწილებინებ მედუქნეს ფქვილს: ვის ფუთს ვუწონით და ვაძლევთ, ვის ბათმანს, ვის მეტსა დავის ნაკლებს... აი, გაიცალა ერთი ტომარი, მეორე, მესამე და მეოთხეც იცლება... ხალხი მიდის და მოდის... არის ერთი ლანძღვა-გინება ერთმანეთისა: „შენ მაგდენი არ გეკუთნის!..—ჩვენ, სამი დღეა, არაფერი გვიჭამია!..—მე ბალღებიანი ვარ!—აქიდან ხელცარიელად წასვლას ძირჩევნია წყალში ჩავარდნა, ხეზე თავის ჩამოხრჩობა!“ ისმის აკანკალებული ხმა ახლად დაქვრივებულ დედისა, რომელსაც, ეს არის, თვალებიდან ცრემლები უნდა გადმოსკდეს...

აძასობაში ფქვილი უკვე ილევა... ბევრი, ასე თუ ისე, რომ დღეს და ხვალ მჭადი ექნება, ცოტათი გულდამშვიდებული მიემურება შინისაკენ. ბევრი, რომელსაც არაფერი ჰხვდა, სასოწარკვეთილებაში ვარდება და თავის უბედურ ბედს თავის გაჩენის დღეს სასტიკად ჰგმობს. ზოგს, მეტად სუსტ, მუხლთ-ეკეცება, და გულ შეღონებული, სიმწრის ოფლ დასხმული, იქვე, ცივ იატაკზე ჯდება...

და ეს საზარელი სურათები მრავლის-უმრავლესად იშლება არა მარტო სამეგრელოში, არამედ გურიაში და ვაკე იმერეთში. ხოლო ჯერ არს, რამეთუ გვაქვნდეს თვალნი ხედვათ და ყურნი სმენად, რათა ყოველსავე ამას ვხედვიდეთ და ვისმენდეთ... **გი—გი ბ—ერია.**

## გურიის განსაცდელი.

ჯოჯოხეთში ძახილია და გამონება-კი არაო,—რომ ი ტყვიან, სწორედ ისეა წელს საწყალი გურიის საქმე. ყველა საზოგადოება, ყველა სოფელი შარშან შემოდგომას აქეთ ტირილითა და გოდებით ერთხმათ გაიძახის დამშეული ვართ და შემწეობა აღმოგვიჩინეთო, მაგრამ მათი მწარე გამოძახილი უყურადღებო გამოძახილადვე რჩება დღემდი და შველა-შემწეობა-კი არსაიდან არ სჩანს. ვერ გამიგია, რატომ შეიქნა დაუჯერებელი გურიაში წრევანდელი შიმშილობა?! განა შარშან ზაფხულშავე ნათლად არ სჩანდა იმის უტყუარი ნიშნები, რომ წელს გურია უსათუოდ უნდა დამშეულიყო?!

მთელი სამი თვე ზედიზედ გამუდმებით წვიმდა, რის გამოც მცხოვრებლების უმეტესობამ ყანები სრულიად ვერ დამარგლა და მთელი გაზაფხულის ნაშრომი უნაყოფოთ დაკარგა; ოცდახუთი, ოცდაათი გოდორი ჰირნახული რომ ადგილში მოსდიოდათ, იქ ორი-სამი გოდორი

---

ფორმების ბილი. ამ ახალი კანონის ძალით ჩამოერთვა საარჩევნო უფლებები უვარგის რაიონებს და განაწილდა სავაჭრო და სამრეწველო ცენტრებზე. იგივე უფლებები მიეცა ირლანდიასა და შოტლანდიასაც. ქალაქებში საარჩევნო უფლება ეძლეოდა ყველა მესაკუთრესა და მოიჯარადრეს რომელთა უძრავ ქონებათა, შემოსავალიც ათ გირვანქა სტერლინგს აღემატებოდა. სოფლათ კი ყველა მესაკუთრეს ათი გირვანქა წლიური შემოსავლითა და მოიჯარადრეს 50 გირვანქა საიჯარო გადასახადით. ამ კანონის ძალით რიცხვი ამომრჩეველთა გაიზარდა $2^{1}/_{2}$ ათ. ე. ი. ვაჭარ-მრეწველთა ბრძოლამ ის შეძინა სახელმწიფოს, რომ დაუკავშირა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეს ხალხის, ერის მეტი, ფართო ნაწილი: პოლიტიკურ ცხოვრებაში შეიტანა მეტი ხალხოსნური ელემენტი. ეს გამარჯვება იყო ხიდი მეორე გამარჯვებისა—პურის კანონის მოსპობის, რომლის ძალითაც დადებულ იყო მაღალი ბაჟი ყოველ პურზე, რომელიც კი შემოქონდათ ინგლისში უცხოეთიდან. 1899—1815 წლების ომით სრულებით დაცემული მრეწველობა და ვაჭრობა ვერ იტანდა პურზე აგეთი დიდი ბაჟის დადებას, რაც პირდაპირ არისტოკრატიის სასარგებლოთ იყო დაწესებული. უფრო უმწეო მდგომარეობაში იყო ქალაქის მუშა ხალხი სამრეწველო კრიზისს, რომ ეს პურის საშინელი სიძვირე დაერთო. მოქალაქეთა წრემ არისტოკრატიასთან სასტიკი შეტაკების შემდეგ საბოლოოთ მოსპო პურზე ბაჟი 1846 წ. და ამით აღიარა თავისუფალი ვაჭრობა, რაც მიუცილებელ, არსებით საჭიროებას წარმოადგენდა მთელი მშრომელი ხალხისათვისაც: ვაჭარ-მრეწველთა წრე უფრო ერთგულათ უწევდა ანგარიშს ქვეყნისა და ხალხის საჭიროებას.

**ტიტე მარგველაშვილი.**

ძლივს მოაგროვეს და ისიც ფშუტა მარცვლებიანი და ულაზათოდ შემოსული. გული გიკვდებოდა ადამიანს, როცა შემოდგომაზე „კრეფა ტეხის“ დროს მხიარული და მკვირცხლი „ხელხვავის“ ნაცვლად, უიმედო ოხვრა-ხვნეშა მესმოდა გურიაში ყოველი მხრიდან!! „ყველა-ყველაა და ყანები რითღა დავთესოთ, ბიჭო, გაისად, რომ ღმერთმა სული გაგვატანინოს ამ ზამთარშიო?“ ეკითხებოდენ ხოლმე ერთმანეთს შემოდგომაზე გულდაწყვეტილი გურულები. ასეთ დღეში მყოფი ხალხი, რასაკვირველია, შველას მოელოდა, ვისგანაც ჯერ იყო და, მართლადაც, გაზაფხულის დამდეგს გაისმა ხმა, რომ მთავრობა დამშეულ ხალხს შემწეობას აძლევსო. მთავრობისავე წინადადებით საზოგადოებებში დანიშნეს ხალხისაგან არჩეული პირები—ეგრედ წოდებული მზრუნველები, რომლებსაც დაავალეს შეეკრიბათ ნამდვილი ცნობები, თუ ვის რამდენი დახმარება ესჭიროებოდა სარჩოს მხრივ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ თავითვე გამოუცხადეს ხალხს, რაც შეიძლება მხოლოდ აუცილებელი საზრდო უნდა ითხოვოთ, თორემ, ომიანობის გამო, ბევრი შემწეობის საშუალება არ იქნებაო. ამასთანავე ისიც იცოდა ხალხმა, რომ ეს შესაწევარი დროებითი უნდა ყოფილიყო და დღეს თუ არა ხვალ უსათუოდ უნდა გადაეხადათ. ამიტომ სწორეთ ის ჩააწერიეს „მზრუნველებს“, რომლებსაც მართლა დახმარება ესაჭიროებოდა.

ყველა დაიმედებული იყო, რომ აი დღეს, აი ხვალ მოგვივა აღთქმული და როგორმე თავს გავიტანთ ამ გაჭირვების დღესაო. ბოლოს მამასახლისები დაიბარეს ოზურგეთში ამის თაობაზედ დამშეული მცხოვრებლები ზეცის მანანასავით მოელოდნენ სარჩოს დარიგებას, მაგრამ დახე იმათ განცვიფრებას, როცა მამასახლისებმა სარჩოსა და შემწეობის ნაცვლად, ასეთი პასუხი მოიტანეს: „ვინაიდან გურიის მცხოვრებთა უმეტესობა მხოლოდ ხუთი ექვსი თვის სარჩოს თხოულობს და არა მთელი წლისას, სჩანს აუტანელი არ ყოფილა იმათი მდგომარეობა და ამიტომ შეუწყნარებელი უნდა დარჩეს მათი თხოვნაო“. ამის გამგონი ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და აღარ იცის, თუ რა გზას დაადგეს უბედურების თავიდან ასაცილებლად...

რატომ მოექცენ ასე გურულებს—არ ვიცი. ის კი ცხადათ ვიცი, რომ გურიაში დღეს სასტიკი შიმშილობა მძვინვარებს და მცხოვრებთა უმეტესობა გამოუთქმელ განსაცდელში არის ჩავარდნილი. ამ უბედურების გამო, რმელსაც აუცილებელი საფრთხე მოელის, თუ რაიმე ყურადღება არ მიექცა დროზე ამ საქმეს და შესაფერი წამალი არ მოენახა ამ შიმშილობის სახით მოვლენილ უმკვანო სენს. სწორედ საკვირველია, სხვა დამშეული კუთხეების თხოვნა თუ კი მიიღეს და დააკმაყოფილეს, რატომ გურია გამონაკლისი შეიქნა და იმისი თხოვნა დაუჯერებელი გახდა?! განა გურულებს ჩვეულებათა სჭირთ გაუჭირვებლად შველა-დახმარების თხოვნა და ხელგაწვდილი სიარული, რომ მისებრ ბედში მყოფ დამშეულ სამეგრელოს კი მოუსმინოს თხოვნა და სარჩო მიაწოდეს და ამას კი გულზე ხელი ჰკრეს და უარი სტკიცეს?! არა! გურული ხალხი გადაჭარბებული გულამაყი და მკვეხარაა, საწყალი, ხშირად მოხდება, რომ არა ქონდეს და კი მაქვს სთქვას, მაგრამ როცა აქვს,—არა მაქვსო—არაფრის გულისთვის არ იტყვის! გურულს, სანამ მისგან აიტანება, შიმშილისა თუ სხვა გაჭირვების მოთმენა ურჩევნია შემწეობა და შველის თხოვნას და როცა ითხოვს, ცხადია, რომ მაშინ აუტანელია მისი გაჭირვება!! ამაში ყველა გურულების მცოდნე დამერწმუნება, უეჭველად.

მაშ, ნუ ვუყურებთ ეჭვის თვალით გურულების თხოვნას და გაუწოდოთ მაშველი ხელი უფსკრულისაკენ დაქანებულებს. ღმერთო, რჯული საგაზეთო წერილებში ნაასალიც არ გამოიხატება ის გაჭირვება, რაც დღეს გურიაში შიმშილობის გამო ტრიალებს. უბედურება მით უფრო საგრძნობელი და აუტანელი გამხდარა ხალხისათვის, რომ ასეთს სხვა მხრივადაც კრიტიკულ დროს დასტეხია იგი თავს, როცა ყოველ გვარი სანოვაგე ორწილ და სამწილ ძვირად ფასობს (ფუთი სიმინდი რვა აბაზია დღეს გურიაში) და თვით დამშეულ ხალხს-კი არაფერი არ დარჩენია გასასყიდი. თითქო განგებ ყველა ჭირი ერთად მოეწყოო, შარშან შემოდგომაზე მთელ გურიაში შინაური ფრინველების არაჩვეულებრივი ჭირი გაჩნდა, რომელმაც ორი-სამი თვე იმძვინვარა და სრულიად მუსრი გაავლო ყველა ოჯახში იხვ-ბატ-ქათამ ინდოურსა.

ნურვინ იფიქრებს, რომ ჩვენ ვაჭარბებდეთ და ვაზვიადებდეთ გურიაში წრევანდელი შიმშილობისაგან გამოწვეულ სივიწროვესა და გაჭირვების ამბავს და ყოველივე აქ ნათქვამი თვალით ნახული და ყურით გაგონილი არა გვქონდეს!! მისი მნახველიცა ვარ, რომ გულამომჯდარი მშიერი ბავშვი დედას დაჟინებით შესტიროდა: „ვოჯო, შიმშილითა მკლავ, თუ რატომ საჭმელს არ მაძლევ, დილას აქით რომ გეხვეწებიო?“

ამის გამგონს გულმა აღარ გამიძლო, რომ იქ არ ჩამეხვია, საიდანაც ბავშვის ასეთი გულშემზარავი სიტყვები შემომესმა, რათა გამეგო მიზეზი, თუ რამ გამოიწვია გულუბრყვილო ბავშვში დედისადმი ასეთი მწვავე საყვედური. როცა დედას ჩემი მისვლის მიზეზი ავუხსენი, პირველად დაიბნა საცოდავი, თითქო ეთაკილებოდა უცხო ადამიანთან სიმართლის თქმა, მაგრამ უილაჯობამ აიძულა და თვალცრემლიანმა მიოხრა: „რა ვქნა, ბატონო, რა ვჭამო, გუშინს აქეთ წასულია სალა სიმინდისთვის საწყალი ყაბახი (ქმარი) და არ გამოჩენილა, უთუოდ ვერ იშოვნა უბედურმა. დღეს მთელი მეზობლები შემოვიარე ფქვილის სასესხებლათ და ვერ გავაჩინე რა ქნან, არც თითონა აქვთ, ჩემი სიკეთისა არ იყოს. დუქნებზე გირვანქა პური რვა-რვა კაპიკად გახადეს და სანამ ფულს არ დათვლიან, დანას ხელს არ მოჰკიდებენ, ერთი სიტყვით, აღარ აიტანება ჩვენი მდგომარეობა, რაფერ დღეში ჩავვარდით და აღარ ვიცით რა წყალში დავიხრჩო თავიო“!!

ასეთი დრამა ტრიალებს დღეს მთელ გურიაში და ნუ თუ იმის მეტი ყურადღება არ უნდა მიექცეს ამ საყურადღებო საქმეს??! ჯერ კიდევ მოევლება საქმეს, სანამ ამ უბედურების ცუდ შედეგებს სავსებით არ უჩენია თავი, თორემ ყოვლად მოსალოდნელი და ბუნებრივია, რომ დამშეული ხალხი უსახსრობის გამო შიმშილის მოსაკლავად უმწიფარი ხილის გადაჭარბებულ ხმარებას მიჰყოფს ხელს და ნიადაგს მოუმზადებს სხვა და სხვა გვარ გადამდებ ჭირის გავრცელებას, როდესაც გვიან იქნება წუწუნი, თითზედ კბენანი ერთი სიტყვით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ გურიას აუცილებელ უბედურებას უქადის ეს შიმშილობის სახით მოვლენილი პირღია შავი ყორანი, რომლის მოგერებასაც ხალხი მთავრობის დაუხმარებლად დღევანდელ პირობებში ვერ შესძლებს!!

**გრ. ბერეჟაულელი.**

# განმარტება.

ამ საშინელმა ომიანობამ დიდ საგონებელში ჩააგდო ნამეტურ ჩვენი სოფლის ხალხი. მთავარი და უპირველესი სადარდელი ხალხისა ის არის, რომ მას ხელიდან გამოეცალა და ბრძოლის ველზე გავიდა მისი პატრონი და მანუგეშებელი. ზოგს მამა აღარ ჰყავს სახლში, ზოგს ქმარი, ზოგს შვილები, და ზოგს კი სრულიად აღარავინ არ დარჩენია, ქალებს გარდა. ამ აუტანელ დარდს მეორე დარდი და მწუხარებაც თან დაერთო. არიან იმისთანა ოჯახები, რომლებსაც ომის გამოცხადების დღიდან არავითარი ცნობა არ აქვთ მიღებული თავის მეომრებიდან. ამისთანა ოჯახები უფრო შესაცოდებელი და შესაბრალისნი არიან, რადგანაც ისინი თავის მეომრებს დაღუპულათ სთვლიან და მათი სულისათვის ზრუნვა აწუხებთ. თვითონ შიმშილისაგან შეწუხებულნი, ერთ ფაცა ფუცში არიან, ეძებენ ცხვრებს, იმზადებენ წვადაგვით პურს და სხვა სანოვაგეს და ემუდარებიან თავის მოძღვარს წირვა-ლოცვისათვის. საწყალ სოფლის ხალხს ჰგონია, რომ თუ ცხვრები არ დაუკლა, ისე მისი მიცვალებული წაწყდება. ბევრი იყო ისეთი მაგალითიც, რომ ალაგ-ალაგ ალაპებიც კი გადახადეს, ხარჯი გასწიეს და მერე ალაპ გადახდილი მეომარი შინ დაბრუნდა. ცოტათი რომ მაინც შეუმსუბუქონ ჩვენ ხალხს დარდი და მწუხარება აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენმა სულიერმა მამებმა შეაგნებინონ და განუმარტონ ხალხს: პირველი, ცხვრების დაკვლა და ალაპების გადახდა არ აცხონებს მკვდარს, ამისათვის ნუ ჩქარობენ ამის შესრულებას, და მეორე, გარდაცვლებულ მეომრებს ყოველივე ეკლესიური წესი შესრულებული აქვთ სამხედრო მღვდლებისაგან და არც წირვა—ლოცვას არიან მოკლებულნი იგინი.

**მ. ფარცხნალელი.**

# დაბა-სოფელი.

**ხალხის დახმარების შესახებ.** ჩვენი სოფლის ხალხს რომ შველა და დახმარება უნდა, ეს ყველასათვის ცხადია. სოფლის მასსა უმეცრების წყვდიადშია ჩაფლული. სიტყვით ჩვენ ყველას გვინდა ხალხს დავეხმაროთ, უმეცრებიდან გამოვიყვანოთ, გამოვაფხიზლოთ, მაგრამ საქმით ძლიერ ცოტას ვაკეთებთ. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მშვენიერი წერილები იბეჭდება ხოლმე ხალხის დახმარების შესახებ, მაგრამ ეს წერილები წერილებათ რჩება და საქმით დამხმარე ადამიანი კი არსად სჩანს. საჭიროა, რომ ხალხმა თავისი თავი იცნოს, გაიგოს თავისი ადამიანობა, დანიშნულება, ნაკლულოვანება და ღირსება, ერთის სიტყვით, ავი და კარგი, მაგრამ ამის შემგნებელი, ჩამგონებელი არ ჰყავს ხალხს. ჩვენი ინტელიგენციის უმრავლესობა სოფლად არ სცხოვრობს და, ძლიერაც რომ უნდოდეს ხალხის დახმარება, ამის მიზეზით ვერ ახერხებს. ამ რიგათ სოფლის მასსა, უმთავრესათ, სოფლის მღვდლებისა და მასწავლებლების ამარაა დარჩენილი და შველა-დახმარებასაც მათგან მოელის. საუბედუროთ, სოფლის ეს ორი დედა ბოძიც, თავის მოწოდების სიმაღლეზე არ დგას. მასწავლებლების უმრავლესობა არა თუ ხალხში არ მოქმედობს და სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო კითხვაზე საუბრებს არ მართავს, სკოლის გარეთაც არ გამოდის. თავის პირდაპირი მოვალეობის შესრულება ქვეყნის ხსნათ მიაჩნია და ხალხის სხვა ჭირ-ვარამისათვის ზრუნვა თავის უპირველეს მოვალეობათ არ აქვს დასახული. სულიერი მამების უმრავლესობა კი პირად ანგარიშებშია ჩაფლული, შაფათ-კვირას თუ სწირა და ლოცა მეტს არაფერს დაეძებს. წირვა ლოცვაზე სიარულს კი ხალხის უმრავლესობამ კაი ხანია თავი დაანება და ნეტავი ვიცოდე ვისთვის უნდათ წირვა და ლოცვა, თუ ხალხი არ მივა საყდარში? ეს სამწუხარო მოვლენა ხალხის გაჭირვებით არის უმთავრესათ გამოწვეული, ამისათვის აუცილებლათ საჭიროა ყველანი, სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ და სოფლის მასსა უმეცრებიდან გამოვიყვანოთ, ხოლო როგორ მოვახერხოთ ეს, ამაზე გემდეგ.

**მ. ფარცხნალელი.**

**კორბოული** (შორაპ. მაზრა). მარტის პირველ რიცხვებში სოფელ კორბოულში დაბრუნდა სათადარიგო ჯარის კაცი მამუკა პავლეს ძე მაჭარაშვილი, რომელიც დაიჭრა გერმანელებთან ბრძოლაში. დაბრუნების შემდეგ ის მძიმე ავათმყოფი შეიქნა და რამდენსამე კვირის შემდეგ კიდეც გარდაიცვალა; მისი გასვენება მოხდა სოფლური ჩვეულებისამებ, ვინაიდან არავის მის ავადმყოფობაში, გარდა ჭრილობისა, ეჭვი არ შეპარვია. ახლა კი, ორმოცი დღის შემდეგ მისი გარდაცვალებისა, გამოირკვა, რომ თურმე ის მომკვდარა შავი სახადით (СЫПНОЙ ТИФЪ), რომელი ავათმყოფობაც გადაედვა როგორც გარდაცვალებულის შინაურებს, ისე მის მახლობელ მეზობლებს. ამ ჟამად ექვსი სული ამ ავათმყოფობით სიკვდილის პირზე არის მიმდგარი. საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ ამ გარემოებას ყურადღება დაუყონებლივ მიაქციოს რათა დაიხსნას ავათმყოფნი დროზე საექიმო დახმარების მიწოდებით სიკვდილისაგან და აგრეთვე ხელი შეუშალოს ავათმყოფობის გავრცელებას საჭირო ზომების მიღებით, ვინაიდან ამის გამო დიდ შიშში არიან ადგილობრივი მკვიდრნი.

**მღვდ. ვლ. მაჭარაშვილი.**

## მოწერილი ამბავი

**სოფ. ზედა ილემი** (შორაპნის მაზრა) კვირას, 17 მაისს, ილმის ორკომპლექტიან სკოლაში გაიმართა აკაკის „სალიტერატურო საღამო“. საღამოზე მონაწილეობას იღებდენ მოწაფეები და მასწავლებლები. საღამოს დაესწრენ როგორც მოსწავლენი, ისე მათი მშობლები. საღამო კარგი შინაარსიანი იყო, იყო გაყოფილი სამ განყოფილებად: პირველსა და მეორე განყოფილებაში წაიკითხეს აკაკის ლექსები, და მგალობელთა გუნდმა შეასრულა რამდენიმე სიმღერა აკაკის ლექსებიდან. მესამე განყოფილებაში წარმოადგინეს ილიას დედა და შვილი. რეფერატი წაიკითხა სტუდ. ვ. გიორგაძემ.

# მიმართვა.

**ჭიათურის რაიონში შავი ქვის სასყიდლად მომქმედ ქართველ კომისიონრებს და დალალებს.**

თქვენ დადიხართ ჭიათურის მიდამოებში და ადგილობრივი უვიც მემამულენი, უმეტესად კი გლეხობა, შეცდომაში შეგვყავსთ, უცხოელების მიერ გაღებულ ფულებს სთავაზობთ ბეებათ მათ და, მართლაც რომ ჩალის ფასად ხელიდან აცლით მამა-პაპისეულ მიწა-წყალს. თუმნის საფასურს მანეთად ირჩენთ, ჩვენ ღარიბ მემამულეთ უფრო აღარიბებთ, მდიდარ უცხოელების უძირო ჯიბის გავსებას ლამობთ, თქვენი პირადი სარგებლობის გამო, ეროვნულ მრეწველობას სამუდამოთ ასამარებთ. ამ მიზნის განსახორციელებლად არავითარ დატყუებას, არავითარ გაიძვერობას და ხრიკებს არ ერიდებით. ხშირად სიტყვიერად სხვა გვარ ურიგდებით და მერმე კი წერილობით უწერილო და უვიც პირებს თქვენთვის ფრიად ხელსაყრელ პირობებში ითრევთ. ბევრმა მემამულემ არც კი იცის, თუ რა შინაარსის ხელწერილი დასტყუეთ მას.

შემდეგში ყოვლად შეუძლებელი და მოუხერხებელია ესრეთი თქვენი მოქმედების მოთმენა. დროა ხალხის დამღუპველი, გამანადგურებელი [illegible] „მოღვაწეობის“ საშუალება [illegible]. გონს მოდით, [illegible] დით თქვენ „მოღვაწეობას“ ეგ არის თქვენი სწავლა, განათლება, შეგნება? ფუ იმისთანა ნასწავლს, რომელიც სამშობლო მიწა-წყლის, ტერიტორიის გაყიდვას უცხოელებზე ხელს შეუწყობს!

განა არ იცით, რომ თქვენი მეცადინობა სათაკილო და სამარცხვინოა? გიჯობსთ საკუთარისა და პატიოსანი შრომით, გარჯით, ოფლით, სჭამოთ ალალი ლუკმა! შესწყვიტეთ თქვენი მოქმედება.

თუ ამ ჩემმა თქვენდამი მიმართვამ ვერ გასჭრა, სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო, იძულებული ვიქნები პრესის საშუალებით მთელს მოწინავე და კეთილმოაზრე საზოგადოებას ვაუწყო უკლისათ ყველა თქვენთაგანის ვინაობა და გამოვამჟღავნო ის საშუალებანი, რითითაც თქვენ წარსულ ხანებში და ზოგნი ახლაც ახერხებთ ჩვენი მემამულეების გაყვლეფას და უცხოელების მადის დაკმაყოფილებას.

ვსთხოვ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ მიმართვა.

შუქრუთის საკრ. ამხ. გამგ. თავმ. და ამავე სოფლის მასწავლ. ალექსანდრე ჩინჩალაძე.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

დაიბეჭდა და იყიდება ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. **ფასი ყდით 2 აბაზი.**

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к.** კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„ვაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

24 მაისიდან თფილისში გამოდის ნაცვლად ჟურნალ „კლდისა“ ყოველ-დღიური გაზეთი

„საქართველო“

ფასი წლის დამლევამდე 5 მან. პირველ ოქტომბრამდე 3 მან. „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც მთელი წლის ფული აქვთ გადახდილი, გაზეთი გაეგზავნებათ 1 მკათათვემდე.

ადრესი: Тифлисъ, Московская ул. № 4.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

**კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

**ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.**

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

**კატალოგები უფასოთ** თ.

ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი

აბანო. აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც შეუმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, როგორც მუნისაგან განმკურნავი უებრაი საშუალება, ჰკურნავს გასაკვირველად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობზე ნაძვნარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდი.

თ. 215